ზაქათალიდგან

(«დროების» კორრესპონდენტი)

ხალხში ანდაზათ იტყვიან, რომ «შვილს თავისი მამა ძალიან დიდ ეაკაკად და გმირად შეაჩნია,» რადგან უმწეოლობაში იმას იმის შეტი არაეინა სტუმაეს. ამას ემოწმება აგრეთვე ხალხის ის ანდაზაცა, რომ «ვისაც კარგი არ უნახავს, ცუდიც კარგი ჭგონია.» ამ გვარი აზრი წარმოსდგება შეუდარებლობით. შედარება კაცს უჩვენებს უალრესობას ერთი საგნისას წინაშე მეორისა. მე რომ ვამბობ, რომ თოვლი ცივია და ცეცხლი ცხელი— ამით მე თოვლის სიცივეს და ცეცხლის სითბოს და სიცხოველეს ერთმანეთთან ვადარებ და მერე გამომყავს ჩემი უკანასკნელი აზრი— დასკვნა. უეჭველია, რომ კაცს სჯა შეუძლიან მხოლოდ შედარებით, და რომ მას არა ჰქონდეს საშუალება ლაპარაკის საგნების ერთმანეთთან შედარებისა, ვერას ლარს იმათ ღირსეულად ვერ დააფასებდა. ვისაც თავის დღეში მწუხარება და უბედურება არ უნახავს, იმას სრულებით არ ესმის და არ იცის, თუ დარდი და მწუხარება რას ჰქვიან და ბედნიერს და მხიარულს ცხოვრებას რა ფასი ადვევ. ამ გვარს შემთხვევაზე არის ნათქვამი, რომ «მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო.» ვისაც თაფლის გემო არ უხილავს, იმას ჭგონია, რომ შაქარზე უტკბილესი ქვეყანაზე არა იქნებარაო. მაგრამ თაფლსაც რომ გემოთ იხილავს—დარწმუნდება, რომ ის შაქარზე თუ არა უტკბილესი, ნაკლები არ არის. ასე ამ გვარად გამოდის და მტკიცდება, რომ კაცს არაოდეს არ შეუძლიან სჯა და ლაპარაკი შეუდარებლად. მაშასადამე ყველაფერის დაფასება და ნამდვილად გაცნობა შედარებაზე, ნახვაზე და გამოცდაზე ყოფილა დამოკიდებული.

ზაქათალის მაზრაში მცხოვრები მაჰმადიანები თავის დღეში შინადგან კარში არ გასულან და არ შეუდარებიათ თავიანთი აზრი, ზნე, ჩვეულება და ცხოვრება სხვა უცხო ხალხების ნივთიერებით და გონიერულ ცხოვრებასთან; ამისათვის ჰფიქრობენ, რომ ქვეყანაზე ვერცერთი ხალხი ისე ბედნიერად ვერ სცხოვრობს, როგორც ისინი, და არცერთ ხალხს ისეთი კარგი ჩვეულება, ზნე და სარწმუნოება არა აქვს, როგორც იმათა. ამ მიზეზისა გამო ის ბრმათ ენდობა და ერწმუნება თავის რჯულის, აზრის და ზნეობის უალრესობას. ის ასე ჩაფლულა, შეჩვეულია, შეჩვეულებია და მიჰყვედლებია თავის ცრუმორწმუნოებას, ჩვეულებას და ზნეს, რომ მისი მოშორება თავის-თავის სიყვდილის თანაბრათ მიაჩნია. ამისათვის მთელი იმისი ცხოვრება იმაზე არის დამოკიდებული, ასე რომ თუ იმან ის გაამტყუნა, მაშინ მთელს თავის ცხოვრებას უნდა შეუკეალოს მსელელობის ბილიკი.

მაგრამ ხომ მოგესსენებათ, რომ რასაც დასაბამი აქვს იმას დასასრულიც უკან მოს დევსო. რაგინდ რომ კაცმა თავი დაიცვას, თავის საყვარელ საგანს მოუარს და უალერსოს, მაინც და მაინც დროება, გარემოება და შემთხვევა ისე მოაწყობს და შეუფარდებს, რომ თქვენს საყვარელს აზრს, მიმართულებასა და საგანს ჩაჰსცხებს თავში ისრე, რომ ის დაკოდილი ვერაოდეს ფეხზე ეღარ წამოდგება. აი სწორეთ ამ გვარათ მოაწყო დროებამ და გარემოებამ ზაქათალის მაზრაში მაჰმადიანების სარწმუნოებრივი ცრუმორწმუნოება: მოატანა ორ წყალ შუა და ჩაამტვრია. როგორათაც დედას თავის შვილზე უმჯობესი, კარგი და უსაყვარლესი სხვა არაეინ მიაჩნია. აგრეთვე აქაურ მუსულმანებს მიაჩნიათ, რომ ქვეყანაზე იმათი სარწმუნოება ყველა სარწმუნოებაზე კარგია, რომ ყოველი სასწაულთ-მოქმედება მხოლოდ იმის საშუალებით შეიძლება. ამათი აზრით, მოლებს შეუძლიანთ დასწერონ ისეთი თილისმები და ჯადოები, რომ ოთხ საკენის სიმაღლეზე გაბმულ თოკზე კაცი გაირბენს, ითამაშებს და არ ჩამოვარდება. ამის დასამტკიცებლათ იმათ მოჰყავთ ჯამბაზების თოკზე ქლაქუნი და ტლიკების ჯრა. ბევრჯელ დაესწრებიეარ აქაური ქრისტიანი ინგილოსი და მაჰმადიანის გაცხარებულ ბაასს და უკანასკნელს უთქვამს, რომ თუ თქვენი რჯული კარგი იყოსო, თქვენშიაც იქნებოდნენ ჯამბაზებიო. ამ გვარს საბუთს თავისი გაულენა ჰქონია ინგილოზე, რადგან ჯამბაზის ხსენებაზე იმას თვალწინ წარმოსდგომია ის მრავალფერა, აეგარიზის მზგავსი თილისმებისა და ჯადოების ქაღალდები, რომელნიც იმათ ზურგზე აკერიათ. მაჰმადიანების აზრით, უამათოთ იმას არ შეუძლიან თამაშობა: მაშინვე თოკიდამ დასხლტება და ძირს ტყაპა გასცვივა.

ჩვენდა სასიხარულოთ, თებერვლის შვიდში აქ, ზაქათალაში, გამართულმა ცირკმა ბოლო მოუღო იმათ ამ გვარს ცრუ-მორწმუნოებას. როგორც ამბობენ მცხოვრებნი, ცირკი მათთვის პირველი ნახვაა მაზრაში. ამან გამოუთხარა ძირი მაჰმადიანების იმ ცრუ-მორწმუნოებას, რომ ჯამბაზობა მხოლოდ ჯადოების ძალით შეიძლებაო. როგორც ახალი მოვლენა და ნახვა, ის ყველამ მოიწონა, და ვინცკი დაესწრო იმის თამაშობას ადგილობრივი მაჰმადიანი, ყველას ძალიან გაუკვირდათ ევროპიელის ტანის მოქნილება და გიმნასტიკური თამაშობა. მაჰმადიანებმა ნახეს და დაიარწმუნეს, რომ ჯამბაზობა თილისმებისა და ჯადოების ძალით არ ყოფილა. შესანიშნავი არის, რომ ცირკი ცრუ-მორწმუნების ალმოფხვრას დაეხმარა!?... ამ შემთხვევამ და გარემოებამ ისე შეარყიეა მათი ცრუ-მორწმუნება, რომ ვინც კი დაესწრო ამ თამაშობას, ყველამ გამტყუნა თავიანთი რჯულის მოლების ტრაბახობა. როდესაც ეპიროს მეფე ეომებოდა რომაელებს, და რომაელებმა ძალიან დიდი ზიანი მისცეს მის რჩეულს, გამოჩენილს და გათქმულს ჯარს, თუმცა კი ამ შემთხვევაში ძლეეა შემოსილი დარჩა ის, უნებლიეად წამოიძახა: «ერთხელ ამ გვარის ზიანით მტერი რომ კიდევ დაეამარცხო, მე უჯაროთ დავრჩებიო.» მე კიდე ვიტყვი: ერთი-ორი სხვა ამ გვარი შემთხვევები რომ გამეორდეს აქ, დარწმუნებული ვარ, რომ აქაური ხალხი გამოიფხიზლებს, ლომხალსაეით აურეადურევს მის ჭკუა-გონების კაზმს, გამოუცელის და ჩაუნერგავს გულში იქვნეულებას, რომელიც არის ბილიკი კაცის განათლებისა და წინწასელისა.

ინგილო ვანიშეიდი.

ზაქათალა.